

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის დავით ჩიქოვანის 2018 წელს გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს. განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

2018 წლის განვლილ პერიოდში კომისიის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა ინვენტარიზაცია, ქონების განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე აქტიური თანამონაწილეობა საკრებულოს წინაშე მდგარი საკითხების მოგვარებაში.

კომისიის შემადგენლობაში 7 (შვიდი) დეპუტატია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები კომისიის მუშაობაში.

ქონების მართვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი წინასწარ განიხილავს და კომისიას განსახილველად წარუდგენს დებულების 2 მუხლის „ა“-„ვ“ პუნქტით განსაზღვრულ საკითხებს, ხოლო ბუნებრივი რესურსების საკითხების სამუშაო ჯგუფი წინასწარ განიხილავს და კომისიას განსახილველად წარუდგენს დებულების 2 მუხლის „ზ“-„კ“ პუნქტით განსაზღვრულ საკითხებს.

რეგლამენტის შესაბამისად 2018 წელს ჩატარებულია 12 (თორმეტი) კომისიის სხდომა სადაც განხილული იქნა 28 (ოცდარვა) საკითხი. საკითხების ძირითადი ნაწილი ეხება მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის, უზურფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებაზე ნებართვის, საწყისი ფასების და ქირის ოდენობის განსაზღვრაზე ნებართვის გაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხებს.

კომისია ადმინისტრირებას უწევს ისეთ საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ქონების გადასახადი და სხვა. შედეგი არის ის, რომ მიმდინარე წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტის შემოსავლები 100%-ით იქნა შესრულებული, თუმცა წლის ბოლომდე ველოდებით შემოსავლების ზრდას.

ქონების გადასახადი გეგმით იყო 429 400 ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 429 500 ლარი. ბუნებრივი რესურსების გადასახადი გეგმით იყო 40 000 ლარი და შემოვიდა 62 898 ლარი. იჯარით გაცემული 20 ობიექტიდან შემოსავალი შეადგენს 18 190 ლარს. საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 142 800 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავალია 163 795 ლარი.

კომისია კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულების ყველა მუხლის შესაბამისად.